



**სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის  
ადმასრულებელი საბჭოს სხდომის  
ოქმი**

**29 ნოემბერი, 2010 წელი**

**ს.ს.ი.პ “საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის” მისამართი:**

ქ.თბილისი, ბარნოვის ქ № 75

სხდომის დაწყების დრო 20:00

**სხდომაზე დამსწრე ადმასრულებელი საბჭოს წევრები:** მამა ხაგიაშვილი(თავმჯდომარე),  
ნოდარ ფეიქრიშვილი, ქეთევან ბექაური, ბესო აბაშიძე, იოსებ ბარათაშვილი, მვიად  
კორძაძე, გოჩა სვანიძე.

**დღის წესრიგი:**

1. ადვოკატთა ასოციაციის 2011 წლის ბიუჯეტის დამტკიცება;
2. ასოციაციის წესდებაში შესატანი ცვლილებების პროექტის განხილვა 4 დეკემბრის საერთო კრებაზე წარსადგენად;
3. პროექტორის შექმნის მიზნით ასოციაციის ბიუჯეტიდან 1800 ლარის გამოყოფის საკითხი.
4. ასოციაციაში გაწევრიანება;
5. ასოციაციაში ხელახალი გაწევრიანება;
6. 2010 წლის 4 დეკემბრის საერთო კრების რეგლამენტის დამტკიცება;

7. ქუთაისში გამოცხადებული რეგიონალური კოორდინატორის ვაკანტურ ადგილზე კანდიდატთა შერჩევის წესის და კომისიის დებულების დამტკიცება;
8. ადვოკატების სოციალური დაცვის მიზნით ასოციაციის წევრებისთვის ჯანმრთელობის სადაზღვეო 35 ლარიანი პაკეტის შექმნის შესახებ საკითხი;
9. აღმასრულებელი საბჭოს 2010 წლის საქმიანობის შესახებ ანგარიშის განხილვა და დამტკიცება;
10. სისხლის სამართლის კომიტეტის დებულების პროექტის დამტკიცება;
11. ადვოკატთა რეესტრის და ქეისმენეჯმენტის სისტემის დანერგვის შესახებ პროექტის დამტკიცება;
12. ასოციაციის ლოგოს ნიმუშის დამტკიცება;
13. საერთო კრების სამანდატო კომისიის დამტკიცება;
14. ასოციაციის წევრთათვის პლასტიკური ბარათების დაბეჭდვის შესახებ;
15. ასოციაციის სისხლის სამართლის კომიტეტის დებულების დამტკიცება.
16. სხვადასხვა

სხდომაზე იმსჯელეს ასოციაციის 2011 წლის ბიუჯეტის შესახებ;

საბჭომ მოისმინა თავმჯდომარის წინადადება პროექტორის, ეკრანის და შესაბამისი კომპიუტერის შექმნის თაობაზე;

წევრებმა განიხილეს გასაწევრიანებელ პირთა განცხადებები თანდართული საბუთებით: კონსტანტინე ყიფიანი, გიორგი მაჭარაშვილი, მამუკა მელაძე, რაულ აგიკიანი, ზურაბ ორჯონიკიძე, მირიან ჭუმბურიძე, ტყეშუჩავა დავით, თამილა მჟავანაძე, გიორგი ოთარაშვილი, მიხეილ მახარაძე, გურამ კესარელი, გიზო ჟოჟაძე, გიორგი გონგაძე.

ასევე, სხდომაზე განხილულ იქნა ასოციაციაში ხელახლა გასაწევრიანებელ პირთა განცხადებები: კახაბერ დავლიანიძე, ქეთევან ჭაბუკიანი, მაია ფირცხალავა, ლევან გრძელიძე, ფრიდონ ყუფარაძე, ზამირ თოფჩიევი, ონისე მებონია, ჯემალ მინდორაშვილი, ირმა ეხვია, ავთანდილ მჟავანაძე, ლეილა თავამაიშვილი, თემურ მახარაძე, თეიმურაზ ბურჭულაძე, მერაბ დარახველიძე, ვახტანგ შენგელია, მამუკა მიქავა.

წევრებმა განიხილეს ონისე მებონიას განცხადება ასოციაციის წევრობის აღდგენის და დარჩენილი საწევრო დავალიანების გადავადების შესახებ შემდგომი საანგარიშო წლისთვის;

საბჭომ მოისმინა თავმჯდომარის წინადადება საწევრო შენატანებიდან 35 ლარის გამოყოფის შესახებ ადვოკატთა ჯანმრთელობის ერთწლიანი, სადაზღვევო პაკეტის შესაძენად;

წევრები გაეცნენ სისხლის სამართლის კომიტეტის თავმჯდომარის – იოსებ ბარათაშვილის მიერ წარმოდგენილ სისხლის სამართლის კომიტეტის დებულების პროექტს.

ასევე, საბჭომ განიხილა სხდომაზე ევროკავშირის პროექტის ხელმძღვანელის მოადგილის – ქალბატონ მაია ჩოჩუას მიერ წარმოდგენილი რამოდენიმე კომპანიის შეთავაზება ადვოკატთა რეესტრის და კეისმენეჯმენტის სისტემის დანერგვის შესახებ. განხილვის შემდეგ მოწონებულ იქნა “One IT” კომპანიის მიერ შეთავაზებული პროექტი.

წევრებმა იმსჯელეს ასოციაციის საერთო კრების სამანდატო კომისიის დამტკიცების შესახებ: მანანა სახვაძე, თათია ჩახვაშვილი, ია მეგრელიშვილი, ნანა ჯაფარიძე, ეკატერინე ლორთქიფანიძე, მაკა შურღაია, ნინო მიროტაძე, ეკატერინა დადიანი, თეონა მელაძე, ნინი ახვლედიანი, ანა კაპანაძე, თამარ ნოღია.

დღის წესრიგის შემდეგი საკითხები: წესდებაში შესატანი ცვლილებების პროექტის განხილვა 4 დეკემბრის საერთო კრებაზე წარსადგენად, 2010 წლის 4 დეკემბრის საერთო კრების რეგლამენტის დამტკიცება, საკონკურსო კომისიის წესის დამტკიცება, ასოციაციის ლოგოს ნიმუშის დამტკიცება, განსახილველად გადაიდო საბჭოს შემდგომი სხდომისთვის, რომელიც ჩაინიშნა 3 დეკემბერს, 19:00 საათზე;

ვინაიდან საბჭოს წინა სხდომაზე მიღებულ იქნა გადაწყვეტილება გამომცხადებული კონკურსის წესით ასოციაციის წევრებისთვის პლასტიკური ბარათების დამზადებისთვის საბეჭდი აპარატის შეძენის თაობაზე, საბჭომ იმსჯელა აღნიშნული პროცესის განხორციელებისთვის საჭირო ფოტოაპარატის შეძენის, ფოტოგრაფის და 2 თვით თანამშრომლის დაქირავების შესახებ, ეს უკანასკნელი უზრუნველყოფს ასოციაციის წევრებისათვის პლასტიკური ბარათების დაბეჭდვას.

დღის წესრიგის დანარჩენ საკითხებზე მსჯელობის შედეგად, საბჭომ ღია კენჭისყრით, ერთხმად

### გ ა დ ა წ ე ვ ი ტ ა:

1. დამტკიცდეს ასოციაციის 2011 წლის ბიუჯეტი და საშტატო განრიგი სხდომაზე წარმოდგენილი სახით (დანართი №1)
2. შეძენილ იქნას პროექტორი, ეკრანი და კომპიუტერი (ნოუთ ბუქი) აღნიშნულის გათვალისწინებით შესაბამისი ცვლილება შევიდეს ასოციაციის ბიუჯეტში;
3. საქართველოს კანონის “ადვოკატთა შესახებ” მე-10 მუხლის შესაბამისად, დაკმაყოფილებულ იქნას სხდომაზე წარდგენილი ყველა გასაწევრიანებელ პირთა განცხადება თანდართული საბუთებით;

4. დაკმაყოფილებულ იქნას სხდომაზე წარდგენილი იმ უფლებამოსილებაშეწყვეტილ პირთა განცხადებები ხელახალი გაწვევრიანებისთვის, რომლებიც შეესაბამებიან საქართველოს კანონის „ადვოკატთა შესახებ“ მე-10 მუხლის, 1 პუნქტის მოთხოვნას გაწვევრიანებაზე. ონისე მებონიას უარი ეთქვას ასოციაციაში ხელახლა გაწვევრიანებაზე, საწევრო დავალიანების სრულ დაფარვამდე;
5. ადვოკატთა სოციალური დაცვის მიზნით, შექმნილ იქნას ადვოკატთა ჯანმრთელობის ერთწლიანი, სადაზღვევო პაკეტი ასოციაციის წევრებისთვის 35 ლარის ფარგლებში და აღნიშნული ასახული იქნას 2011 წლის ასოციაციის ბიუჯეტში საშემოსავლო გადასახადის ჩათვლით.
6. დამტკიცდეს სისხლის სამართლის კომიტეტის დებულების პროექტი სხდომაზე წარმოდგენილი სახით (დანართი №2);
7. დამტკიცდეს “ONe IT” კომპანიის მიერ შეთავაზებული პროექტი ადვოკატთა რეესტრის და ქვისმენეჯმენტის სისტემის დანერგვის შესახებ;
8. დამტკიცდეს საერთო კრების სამანდატო კომისიის შემადგენლობა სხდომაზე წარმოდგენილი სახით;
9. ასოციაციის წევრებისთვის ახალი პლასტიკური ბარათების დასამზადებლად შექმნილ იქნას ფოტოაპარატი, დაქირავებულ იქნას ფოტოგრაფი და პლასტიკური ბარათების დაბეჭდვის უზრუნველსაყოფად აყვანილ იქნას ტექნიკური თანამშრომელი 2 თვის ვადით ან გაფორმდეს ხელშეკრულება ფირმასთან 3500 ადვოკატის პლასტიკური მოწმობის დაბეჭდვის თაობაზე.

**ზაზა ხატიშვილი**

სსიპ საქართველოს ადვოკატთა  
ასოციაციის თავმჯდომარე

ასოციაციის აპარატის საშტატო განრიგი

დასახელება	რაოდენობა
აღმასრულებელი მდივანი	1 შტატი
აღმასრულებელი საბჭოს კოორდინატორი/სპეციალისტი	1 შტატი
პროფესიული ჩამოყალიბების და განვითარების ცენტრის უფროსი	1 შტატი
თესტირების სამდივნოს სპეციალისტი	1 შტატი
სასწავლო ცენტრის სპეციალისტი	1 შტატი
ეთიკის კომისიის კოორდინატორი/სპეციალისტი	2 შტატი
პროგრამების კოორდინატორი (არამუდმივი შტატი)	1 შტატი
რეგიონალური წარმომადგენელი	2 შტატი
PR მენეჯერი	1 შტატი
ბუღალტერი	1 შტატი
მდივან-რეფერენტი	1 შტატი
წევრებთან ურთიერთობის სპეციალისტი	1 შტატი
კურიერი	1 შტატი
ადმინისტრატორი	1 შტატი
დამლაგებელი	1 შტატი